№ 164 | 1877—1897 | № 164

სამშაბათი, 12 აგვისტო 1897 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სამშაბათი, 12 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივანე, ვასილი და ალექსანდრე კარსელაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მამისა თვისისას,

**ესტატე დავითის ძისას,**

უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ ოთხშაბათს, 13 ივლისს, დილის 9 საათზედ, ჭავჭავაძის ქუჩა, № 24, საკუთარს სახლში, საიდგანაც მიცვალებულის გვამი გამოსვენებულ იქნება კალოუბნის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. პანაშვიდი იქნება გარდახდილი ორშაბათს, საღამოს 7 საათზედ. (1—153—1)

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

გამოცდილი **მასწავლებელი ქალი ამზადებს ყმაწვილებს** სხვა-და-სხვა სასწავლებლის უმცროსს კლასებში შესასვლელად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ პირადად და წერილით: მიხეილის ქ., სახლი კრაუზესი, № 79.

(3—154—1)

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12.

სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს.

(10—უ—2)

### მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრნი გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი და სენატორი, სტატს-სეკრეტარი, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ბარონი ნიკოლაი, კავკასიის მთავარ-მართებლის წევრნი ტაინი სოვეტნიკი პრიბილი და იაკიმოვი, ტფილისის საკონტროლო პალატის გამგე ტაინი სოვეტნიკი ბუტირკინი, თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გენერალ-მაიორი თავ. მაყაშვილი და თელავის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავადი ვეზირიშვილი—ტფილისის ოლქის სასამართლოს ნაწილის საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი—ქუთაისისა, ერევნის გუბერნატორი, დეისტ. სტ. სოვ. გრაფ. ტიზენ-გაუზენი — ერევნისა, შავის ზღვის პირის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ტიხანოვი და ბაქოს გუბერნატორი დეისტ. სტ. სოვ. როგგე ბაქოს ოლქის სასამართლოს ნაწილის საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად.

დათხოვნილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, მიხეილის ციხე სიმაგრის ქვეითა რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი თავადი ვაჩნაძე.

### ნეკროლოგი

**† ს. ი. ქიშმიშოვი**

8 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ გარდაიცვალა ადგილობრივის ბრიგადის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სტეფანე იოსების ძე ქიშმიშოვი. განსვენებული დაიბადა ტფილისში 1833 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის გათავების შემდეგ სტეფანე იოსების ძე სამხედრო სასწავლებელში საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიაში შევიდა. სამსახური დაიწყო 3 თებერვალს 1850 წელს. განსვენებული მთელი 47 წელიწადი კავკასიაში ჰმსახურებდა და მრავალ ომში მიუღია მონაწილეობა. ბრიგადიის უფროსად დანიშნულ იქმნა 1887 წელს.

სტეფანე იოსების ძე სამხედრო ლიტერატურაშიაც იღებდა მონაწილეობას. ცნობილია მისი ნაწერები „ომები ოსმალეთის სომხეთში 1877—1878 წ. წ.“ და „ნადირ-შაჰის გალაშქრება პერათსა, ყანდაარსა და ინდოეთში.“ განსვენებულმა კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული ენა. იმას დარჩენია რამდენიმე დაუბეჭდველი თხზულება და სხვათა შორის „უკანასკნელი დღენი საქართველოსი“.

განსვენებულის გვამს დაასაფლავებენ ვანქის ეზოში დღეს, სამშაბათს, 12 აგვისტოს.

## ახალი ამბავი

—

*** ოთხშაბათს, 13 აგვისტოს, 12 საათზედ, კავკასიის მთავარ მართებელი მიიღებს ყველას, ვისაც რაიმე საქმე ან სათხოვნელი აქვს.

*** გუშინ-წინ, 10 აგვისტოს, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში ტფილისელ ქართველ ხელოსანთ კრება ჰქონდათ მომავალ ამხანაგობის დაარსების შესახებ. ამ ჟამად 55 კაცია ჩაწერილი წევრად. წევრებს, როგორც ხელ-მოკლე ხალხს, წვრილ-წვრილად შეაქვთ საწევრო ფული. რომ უფრო მალე მოახერხონ საჭირო თანხის შეკრება და საქმის დაწყება, ამ დღეს 10 კაცმა განაცხადა სურვილი ხუთ-ხუთის თუმნის წარდგენისა ენკენისთვემდე. ამავე დროს ყველა წევრს დაევალა, რომ შემდეგის კვირისათვის თითო ახალი წევრი იშოვონ. ერთის სიტყვით, საქმეს ყველა ერთგულად ეკიდება და, იმედია, მალე შეასრულებენ კიდეც თავიანთს დიდის ხნის სურვილს.

*** ტფილისის ვაჟების პირველს გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები 26 და 27 აგვისტოსათვის არის დანიშნული. თავისუფალი ადგილები მხოლოდ მოსამზადებელის კლასის უმცროსს განყოფილებასა და პირველს კლასშია.

*** ტფილისის ვაჟების მესამე გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები 28 აგვისტოსათვის არის დანიშნული. თავისუფალი ადგილები მხოლოდ მოსამზადებელის კლასის უმცროსს განყოფილებასა და პირველს კლასშია.

*** ნაფიც ვექილის სტაროსელსკის მკვლელობის საქმეს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია 27 მომავალს სექტემბერს გაარჩევს ბაქოში.

*** ქუთაისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში მისაღები და განმეორებითი ეგზამენები 21 აგვისტოდგან პირველ ენკენისთვემდე იქმნება. თავისუფალი ადგილები მხოლოდ მოსამზადებელის კლასის უმცროსს განყოფილებასა და მეშვიდე კლასშია.

*** ბეითალი შ. დედაბრიშვილი დღეს, 12 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, დუშეთის მაზრაში მიდის, რომ ადგილობრივ დაათვალიეროს რა და რა სოფლებშია საქონლის ჭირი გავრცელებული და საჭირო საშუალებანი იღონოს.

*** არუთინ მირიმანიანს სომხურ ენაზედ გადაუღია მოთხრობად შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხვის-ტყაოსანი“, პოემას, რასაკვირველია, თავისი ბუნებრივი მშვენება ვერ შერჩენია, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგაა გადაღებული. წიგნს ჩართული აქვს სურათი შოთასი და მოკლე დახასიათება ავტორისა, ღირს 15 კაპ.

*** წელს, შემოდგომაზედ, კავკასიაში ჩამოვა სამოცამდე გერმანელი მოგზაური გრაფ როტერმუნდის მეთაურობით. უცხოელნი მოგზაურნი ბათომიდგან ტფილისს ჩამოვლენ და აქედგან შუა-აზიაში გაემგზავრებიან.

*** ტფილისის მეპურეებმა თხოვნა მისცეს ქალაქის გამგეობას და სთხოვენ, რომ პურის ნიხრს მოუმატეთო. მათის სიტყვით, პური იაფად იყიდება და ვზარალობთო. გამგეობამ ხსენებული თხოვნა სავაჭრო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ა. გ. ჯაბადარს გადასცა, რომელმაც ამის თაობაზედ თვისი მოსაზრებანი უნდა წარუდგინოს გამგეობას.

*** კავკასიაში დაარსებული დამნაშავე ბავშვთა ხასიათის გამასწორებელი საზოგადოება, ოქროყანაში დროებით შენობის მაგიერ, სადაც ეხლა მოთავსებულია ამ საზოგადოების თავშესაფარი, აშენებს ახალს სამუდამო სადგომს თავ-შესაფარისათვის სოფ. ზემო ავჭალაში. ამ საქმისათვის საზოგადოების ფულიდგან გადადებულია 18,000 მანათი.

*** ხვალ, 13 აგვისტოს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას საგანგებო კრება ექმნება, რომელზედაც განხილულ იქმნება ზოგიერთი საგნები საგეოლოგო და საექიმო საერთა შორისო კრების წევრთა ტფილისში მიღების შესახებ.

*** ქართულის მწიგნობრობის საქმე და ქართულის წიგნების გავრცელება ერთობ დაქვეითებულია დუშეთის მაზრაში. მთელს მაზრაში თურმე არ მოიპოვება არც ერთი ისეთი პატარა რამე ბინა, რომ ქართული წიგნები ელაგოს, ხალხს მხარდა მხარ მისდევდეს და შეძლების და გვარად წიგნებიც ავრცელოს.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ საქმისთვის ყურადღება მიუქცევია ზ. ჭიჭინაძეს, ქ. დუშეთში მცხოვრებ ზოგიერთ ქართველთათვის მიუმართავს და დახმარება უთხოვნია, რომ ქ. დუშეთში სადმე ქართულის წიგნების საწყობი ბინა მოიძებნოს და დღეის შემდეგ დუშეთშიაც შეიძლებოდეს ქართულის წიგნების მოპოვება.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „თუ ვისმეს მოეპოვება ძველი წიგნი „რუსუდანიანი“ დროებით დაუთმონ და წარმოადგინონ „წერა-კითხვის საზოგადოების“ სამართველოში, რადგანაც ეს ძველი წიგნი დასაბეჭდად მზადდება.“

*** ბათუმის ოლქში, სახელდობრ ჩაქვაში, ჩაის პლანტაციებში ჩაის მცენარეს რაღაცა ავადმყოფობა გასჩენია. მცენარეს მაისში ფოთლები თურმე უხმება, უყვითლდება და სცვივა. როგორც ზოგიერთი გამომკვლეველი ამტკიცებს, ეს სენი სამხრეთ-დასავლეთის ცხელის ქარებისა და ზღვის ჯანყის მიზეზი უნდა იყოს. მით უფრო დასაჯერებელია ეს აზრი, რომ ინდოეთსა და ჩინეთში თურმე ზღვის პირად არასოდეს არ მოჰყავთ ჩაი და ყირიმის ბაღებში ბევრჯელ შეუნიშნავთ ასეთი ავადმყოფობა.

*** ოზურგეთი. აქ ყოველ ხუთშაბათობით და კვირაობით იმართება „სალიტერატურო საღამო“, რომელსაც ხალხი საკმაოდ ესწრება. ხუთშაბათს, 7 აგვისტოს, გამართული იყო ჩვეულებრივი საღამო. სხვათა შორის დაესწრო ბ-ნი ს. ქვარიანი. წაკითხულ იქმნა პირველად ჩვენის საყვარელის პოეტის პოემა „ნათელა“. როცა წიგნის კითხვა გაათავეს, ხალხის თხოვნისამებრ ბ-ნმა ქვარიანმა წარმოსთქვა რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა ხალხის ზნე-დაცემულობის შესახებ. შემდეგ დაიწყო წიგნის განმარტება და ახსნა. გაათავა თუ არა ნათელას ახსნა, მაშინვე ხალხმა მადლობა გამოუცხადა. დიდის მადლობის ღირსია აგრეთვე ქ-ნი მ. ჯ—ელი, რომელიც თავისს მეცადინეობასა და შრომას არ აკლებს არც ერთს საღამოს და შეძლებისა დაგვარად ემსახურება ამ საქმეს.

*** 10 აგვისტოს, ღამის 2 საათზედ, ბარონის ქუჩაზედ, თავ. მუხრან-ბატონის სახლში გრიგოლ ბუდაგოვის სახელოსნოს ცეცხლი წაეკიდა. მალე ცეცხლი სხვა მაღაზიებზედაც გადავიდა. დაიწვა 8 მაღაზია სხვა-და-სხვა ავეჯით. ზარალი 6,000 მანეთამდე იქმნება. სახლი და ავეჯი დაზღვეულია „რუსეთის საზოგადოებაში“.

—

ჩვენ გვთხოვენ ქველ-მოქმედთა ყურადღება მივაქციოთ ერთის ღარიბის ქართველ აზნაურშვილის ქვრივს, რომელიც ორის ობოლის ქალიშვილით ყოვლად უნუგეშოდ და ხელ-მოკლედ არის დარჩენილი და ისე დიდად გაჭირვებულია, რომ ლუკმა პური არ მოეპოვება. იმედია, ქველ მოქმედნი მცირეოდენს წვლილს არ დაიშურებენ ამ ყოვლად შესაბრალისის ოჯახობისათვის.

### საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

—

მორიგი ლექცია ბ-ნ ი. ი. ფერაძის მიერ წაკითხულ იქმნა სკოლაში ახლად მიღებულ ბავშვთა დედა-ენაზედ პირველ დაწყებით ვარჯიშობის შესახებ, რომლის აზრია: უჩინრად მიჩვეულ იყვნენ ბავშვნი სკოლასა და სასკოლე წესიერებას. პირ-

ველ ხანებში ბავშვი მოკრძალებულია, სკოლაში იგი თავს სულ სხვანაირად ჰგრძნობს, ვიდრე შინ. სახლში ბავშვი მიჩვეულია დედ-მამისაგან ნებიერებას, აქ ყველა საგანს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი სახლში თითქმის უსულო საგნებსაც-კი ესაუბრება, არამც თუ ცხოველთ და ფრინველთ; სკოლაში-კი ყველა ამას ბავშვი მოკლებულია, სულიერად სწუხს, გულით ნატრობს: „ახ, როდის იქნება, მასწავლებელმა დაგვითხოვოს, შინათკენ მოვგუზოო“. ამიტომაც მასწავლებელი უნდა ეცადოს, ბავშვთ პირველიდგანვე შეაყვაროს სკოლა. ამისათვის საჭიროა მასწავლებლის მხრივ დედა-ენაზედ მშობლიური, მგრძნობიარე, ენაწყლიანი ბაასი. ბაასის საგანს უნდა შეადგენდეს ყველა ის, რის შესახებაც ბაასი სახლში ბავშვთ ძალიან უყვარდათ, რის ერთი წარმოდგენაც კი სიამოვნებით გააჟრჟოლებს ბავშვს და სავსებით მოინადირებს ბავშვის ყურადღებას. ბაასის ასეთს საგნებს შეადგენენ: გლეხ კაცის სახლი, ეზო ყურე, ბაღი, ბოსტანი, ვენახი, კალო, შინაური ცხოველები, ფრინველები და სხვა. ყველა ეს საგნები დროსა და ადგილის მიხედვით უნდა განიხილოს მასწავლებელმა ზემო მოყვანილ საგნების განხილვის შემდეგ ბავშვთა შეუმჩნევლად მასწავლებელი უნდა გადავიდეს სკოლასა და იმის მოწყობილებაზედ; უნდა გააცნოს სკოლაში მოთავსებულ სასწავლო ნივთთა მნიშვნელობა და ეცადოს, რამდენადაც შესაძლებელია, სხვა-და-სხვა თვალ-საჩინო მაგალითების შემწეობით ცოცხლად ბავშვთ სწავლის მნიშვნელობა ჩააწვეთოს.

ასეთ გაკვეთილებს, ბავშვთა დაშინაურების გარდა ის საყურადღებო მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი თანდა-თან თვალ-ყურის დევნას შეაჩვევა, საგანთა შედარებით ეჩვევა საგნების უმთავრესს დამახასიათებელ ნიშნების აღნიშვნას, აზრის გამორკვევას, ენის მწყობრად შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებლისა მიქცეული უნდა ჰქონდეს ბავშვთა გრძნობათა გავარჯიშებას. ბაასის დროს მასწავლებელმა ბავშვთა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ გავიცნობთ ამა თუ იმ საგანს. ასეთი გაკვეთილები უნდა აძლიოს მასწავლებელმა ორი ან სამი კვირა. კარგი იქნება, ამავე დროს აჩვენოს და აუხსნას ყველა ის სურათები, რომელიც „დედა-ენაშია“ მოთავსებული; ასოების სწავლის დროს წინანდელი ცოდნა ბავშვს დიდს დახმარებას აღმოუჩენს. ჩვენში არა სრულდება ეს საპედაგოგიო მეცნიერებაში ჩინებულად აღიარებული წესი და აკი ამიტომაც ჩვენ ბავშვებს სკოლაში სიარული არ ეხალისებათ. ბავშვი სკოლაში თავს შეჰყოფს თუ არა, მაშინვე წიგნს მიაჩეჩებენ და დაჟინებულ ჩიჩინით, ცემა-ტყეპით სწავლის ხალისს უცრუებენ. რა თქმა უნდა, პირველი სავარჯიშო გაკვეთილები დედა-ენაზედ უნდა სწარმოებდეს.

სანიმუშო გაკვეთილები იყო საღმრთო სჯულისა, რუსულის ენისა და არითმეტიკისა. გაკვეთილები კარგად მიმდინარეობს, ზოგიერთა წვრილ ნაკლულევანებათა გარდა. დიდს დახმარებას უწევს კურსებს ბ-ნი ლ. გ. ბოცვაძე, იგი გაკვეთილის მიცემის დროს ყველა მასწავლებელს ხელმძღვანელობს, ასწორებს გაკვეთილების გეგმას. ბ-ნი ბოცვაძე ერთი თვეა, რაც კურსებს ემსახურება, არა ჰზოგავს არამც თუ თავის ცოდნას, არამედ ჯანის სიმრთელესაც, იმისთვის სიცხე, ცუდი დარი არ არსებობს, ოღონდ გულით საყვარელ საგანს-კი დაეხმაროს. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ბოცვაძე ასეთის ყურადღებისათვის.

გაკვეთილის გარჩევის დროს ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველია და სასარგებლოა ის წესი არითმეტიკის სწავლებისა, რომლითაც მასწავლებლის დახმარებით არამც თუ ამოცანის შინაარსი, არამედ თვით ამოცანის გაკეთებაც ისწავლება, ერთის სიტყვით, მთელის მასალის დღეჭვა მასწავლებლის მხრივ? ჩვენის ფიქრით, ეს წესი არამც თუ უმნიშვნელო და უნაყოფოა, მავნებელიც არის. ვეცდებით სავსებით დავახასიათოთ. ამოცანის შინაარსი ყოველთვის მოკლე და ნაცნობ სიტყვებით არის მოთხრობილი, მაშასადამე, მისი დახსომება ბავშვებს არ გაუძნელდებათ, ამიტომ საჭიროება არ მოითხოვს ამოცანის შინაარსი ნაწილ ნაწილად დაიყოს და იქამდე იმეორებოდეს, ვიდრე ზეპირად შეისწავლიან. აქ დროც ბევრი იკარგება და ბავშვებსაც ჰბეზრდებათ საადვილო დასახსომებელის ათასჯერ გამეორება. ამოცანა მოკლე, საადვილო დასახსომებელ შინაარსით მეხსიერების გასპეტაკების ერთს საუკეთესო საშუალებად ითვლება, ზემოდ აღნიშნული წესი რომ დავიცვათ, ჰკარგავს ამ მნიშვნელობას. ამოცანის საინტერესო ნაწილს შეადგენს „გაკეთება, გამოცნობა“. ხოლო თუ ესეც მასწავლებელმა დაუღეჭა, მაშინ ამოცანას ინტერესი ეკარგება, ბავშვი ამოცანას სიამოვნებით აღარ ეკიდება, ყურს გულ-მოდგინედ აღარ უგდებს, ეჩვევა ცუღლუტობას.

ჩვენის ფიქრით, არითმეტიკის გაკვეთილი ასე უნდა მიმდინარეობდეს: რაკი მასწავლებელი ამოცანის შინაარსს გადასცემს, გაუმეორებლივ უნდა მიანაბროს მოსწავლეთ, დეე იმუშავონ, თითონვე გამოიცნონ, უკეთუ რამე დაბრკოლება შეჰხვდათ, მასწავლებელს შეუძლიან დახმარება და არა თითონ გაუკეთოს. მართალია, პირველ ხანებში ბავშვთ გაუძნელდებათ ამოცანის გაკეთება, ნაყოფიერი არ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ რამდენისამე გაკვეთილის შემდეგ ცხადად მიჰხვდებიან ამოცანის დედა-აზრს. ბ-ნმა ტატიშვილმა უკამათოდ მოიწონა წესი ამოცანების ღეჭვისა მასწავლებელთა მიერ. იმისის სიტყვით „სწორედ მასწავლებელმა უნდა დაუღეჭოს ბავშვებს როგორც ამოცანის შინაარსი, აგრეთვე მისი გაკეთება-გამოცნობა, თვით მოქმედებისათვის საშინაო ამოცანები ეძლევათო“. კარგი, მაგრამ თუ-კი სკოლაში მასწავლებელს არ უვარჯიშებია მოსწავლენი თვით მოქმედების მხრივ და არ ენდობა იმათ ძალ-ღონეს, სახლში საწყალებლად უნდა გაატანოს?..

მ—შვილი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. დვაბზუ** (გურია), 4 აგვისტო. ეს სოფელი მდებარეობს აღმოსავლეთით სამ ვერსზედ ქალაქ ოზურგეთიდგან. აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, მაშინ, როდესაც ყველა ახლო-მახლო სოფლებში ორ-კლასიანი სკოლებია. რაა მიზეზი ამ სკოლის ორ-კლასიანად გადუკეთებლობისა? განა არვინ არის ამ სოფელში, რომ; ეს საქმე ითავოს? იკითხავს ვინმე. წარსულ წლებში რამდენჯერმე იყო საზოგადოებასთან მოლაპარაკება, მაგრამ, რადგანაც ამ ხანებში ბევრი ხარჯი ჰქონდა ფირალების გამო ამ საზოგადოებას, ამიტომ უარი განაცხადა. ეხლა 3 აგვისტოს აქ იყო მაზრის უფროსის მოადგილე ბ-ნი გამრეკელი და სთხოვა საზოგადოებას, რომ ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთონ. აგრეთვე ძლიერ გულმოდგინებით უხსნიდა ხალხს სწავლა-განათლების საჭიროებასა და მნიშვნელობას. საზოგადოებამ უარი განაცხადა შეუძლებლობის მიზეზით. „ბატონო, დიდი გადასახადები გვაქვს და ვერ ვეტანით ამდენ ტვირთს, თვარა კაი დაგვმართოს, კაია სწავლა. ორ-კლასიანს არა, თქვენის კარგა ყოფნით ნეტაი ოთხ-კლასიანს გავმართავდეთ. კაია, მარა სადაა შეძლება!?“ უპასუხებოდა ხალხი. ბოლოს მაზრის უფროსის მოადგილემ იმედი მაინც არ დაჰკარგა და სთხოვა—საზოგადოებას, რომ მოიფიქრეთ, ორს კვირას შემდეგ ამოვალ და, იმედია, მაშინ უკეთესს პასუხს მომცემთო.

რითი აიხსნება ასეთი გულ გრილობა სწავლა-განათლების გაუმჯობესების საქმეში? სიღარიბით? არა მგონია, იმიტომ, რომ დვაბზუზედ უფრო ღარიბ სოფლებში არის დღეს ორ-კლასიანი სკოლები.

როგორც ვიცით, ყველა საზოგადოებაში არის ხუთი ექვსი კაცი, რომელთა „კი“-სა და „არა“-ს საზოგადოება უყურებს და რასაც ისინი იტყვიან, თითქმის ყველანი იმისი თანახმანი არიან. დვაბზუშიაც არიან ისეთი გავლენიანი, რომლებიც დარბაისლებად ითვლებიან. ამათ სოფელში „სიტყვა-პასუხიანს“ კაცებს ეძახიან, რასაც ესენი იტყვიან, იმას იმეორებენ დანარჩენებიც. თუმცა უფრო მეტს ნაწილს-კი უნდოდა სკოლის გადაკეთება, მაგრამ რადგანაც ეს „სიტყვა-პასუხიანები“ უარს ამბობდნენ, ამიტომ იმათაც წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. ამ „სიტყვა-პასუხიანთ“ ჰგონიათ, რომ საზოგადოება დიდი ხარჯისაგან დავიხსენით და ამით სოფელს დიდი სამსახური გავუწიეთო, ის-კი არ იციან, რომ ამით დიდი ზარალი მოუტანეს. იმედია, რომ ბ-ნი მაზრის უფროსის მოადგილე ამათ მოლაპარაკება ცალკე და მით განახორციელებს ამ კეთილს საქმეს.

კრება რომ დაიშალა, ერთ ამ „სიტყვა-პასუხიანს“, რომელმაც უარი განაცხადა და იმით მოიწონა თავი, რომ ოც-და-ხუთი წელიწადი ყოფილა ხელმწიფის სამსახურში, ვკითხე, რად განაცხადეთ უარი ასეთს კარგს საქმეშიმეთქი? წვერზედ მანიშნა და ასე მითხრა: „წვერი გამითეთრდა და შენ მასწავლი, რაა კარგი და რაა ავი“!?. რა უნდა უთხრა ისეთ კაცს, რომელიც თავისის აზრების სიმართლეს თეთრის წვერით ამტკიცებს?!.. დასასრულ, ვისურვებთ, რომ ბ-ნ გამრეკელის შრომას უნაყოფოდ არ ჩაევლოს და დვაბზუის საზოგადოებაშიაც დაარსებულიყოს ორ-კლასიანი სასწავლებელი.

ჩემია

—

**სოფ. დირბი**, (გორის მაზრა), 10 აგვისტო. წელს სოფ. დირბში პურის მოსავალი ძალიან ნაკლებია. ამის მიზეზად აქაურნი მცხოვრებნი სეტყვასა და გვალვას ასახელებენ. პურს ხუ (სოკო) მოერია, მხოლოდ სიმინდს უჩანს კარგი პირი. ვენახებსაც ძალიან სუსტად ასხია. სეტყვამ ვენახებსაც დიდი ზარალი მისცა. რაც სეტყვამ დააკლო ვენახებს, ის ობმა (მილდიუმ) და ზოგიერთს ვენახებს ნაცარმა (ოიდიუმ) შეუსრულა. ახლა ამ ბოლოს დროს, დირბელების სამწუხაროდ, ვაზის მტერი-ფილოქსერაც აღმოჩნდა ჯერ-ჯერობით ათს ვენახში. ესეც ემჩირებოდა გონებრივად და ზნეობრივად დაქვეითებულს დირბს!... ამოდენა სოფელში, როგორიც არის დირბი, ხსენებაც არ არის სკოლისა?... უკანასკნელის სარგებლობაზედ აქ არავითარს ამბავს არ მოუღწევია ჯერ-ჯერობით, ალბათ მისთვის, რომ დირბი მაღლობს ადგილზეა აშენებული...

ს. დირბი სხვაფრივაც ყურადღების ღირსია. ორ კვირაზედ მეტია, რაც აქ საქონლის ჭირი გაჩნდა. ჯერ-ჯერობით ჭირმა ხუთი თუ ექვსი სული იმსხვერპლა. რომელსაც კი შეხვდება ჭირი, ძნელად გადურჩება. დახოცილს საქონელს პატრონები ატყავებენ და შორს გზაზედ ჰყრიან, რითაც ისინი ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობენ. ერთს გლეხს, რომელიც გატყავებულს ჭირისაგან მოკლულს მოზვერს ხარებით მიათრევდა, ვკითხე: „რატომ არ ჩაჰფლავთ მიწაში ჭირისაგან დახოცილს საქონელს, აგრე რომ ჰყრით, ავადმყოფობა უფრო გავრცელდება.“ მან ხელის ჩაქნევით მიპასუხა: „რაც ღმერთს უნდა, ის დაგვემართებაო.“ აქეთ ამ თვეში დღეობები იცის, მაგ.: ს. რუისში 6 აგვისტოს „ფერიცვალება“; ს. საღოლაშენში 15 აგვისტოს „მარიამობა“, სადაც ურმებით ბევრი მლოცავები მიდიან როგორც სხვა სოფლებიდგან (მაგ. ს. საქაშეთიდგან, საიდგანაც ჭირი სოფ. დირბში იქნა გადმოტანილი), ისე დირბიდგანაც. ადვილად შესაძლებელია, რომ საქონლის ჭირი სხვა სოფლებშიაც იქმნას გადატანილი...

ა-ე-ა-ლი

# რუსეთი

—

უმაღლესს სასულიერო უწყებაში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ სამრევლო საეკლესიო სკოლების წიგნთ-საცავები, სარწმუნოებრივისა და ზნეობრივის შინაარსის წიგნების გარდა საბუნების მეტყველო და საისტორიო წიგნებითაც იქმნას შევსებული.

— ფინანსთა სამინისტროსთან ამჟამად კერძო კომისსია შესდგა, რომელშიაც ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსნი მოხელენი მიიღებენ მონაწილეობას. კომისსია განიხილავს იმ საგანს, თუ როგორ უნდა იქმნას განსაზღვრული საერობო გარდასახადი. კომისიის თავმჯდომარედ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი ობოლენსკია. კომისია მუშაობას უკვე შეუდგა.

— ვარშავის უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის თავისუფალ კათედრაზედ მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი მაგისტრი დ. პეტრუშევსკი იქმნა დანიშნული ექსტრაორდინალურის პროფესსორის ხარისხით, ხოლო სისხლის სამართლისა და სასამართლოთა მოწყობის თავისუფალ კათედრაზედ დოცენტის თანამდებობის აღმასრულებლად წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის მაგისტრატი გ. ვ. დემჩენკო იქმნა დანიშნული.

— საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორი, რუსეთში ყოფნის დროს, სხვათა შორის, საიმპერატორო ფაიფურის ქარხანას ინახულებს და დაწვრილებით გაიცნობს ფაიფურის წარმოებას.

# უცხოეთი

—

**ავსტრია და ბოლგარია.** ავსტრიასა და ბოლგარიას ერთმანეთში ამ რამდენისამე დღის წინად სადიპლომატო შეტაკება მოუხდათ, რის გამოც ავსტრიამ თვისი ელჩი გაიწვია ბოლგარიის სატახტო ქალაქ სოფიიდგან. ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია ევროპის გაზეთების შორის. ზოგი ავსტრიის მთავრობას ამტყუნებს, ზოგი კიდევ ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტს სტოილოვს. როგორც ჩვენ მკითხველებს ეხსომება, კაპიტანმა ბოიჩევმა, ბოლგარიის თავადის კარის-კაცმა, საზიზღარი მკვლელობა ჩაიდინა: ამ მკვლელობამ მთელის ევროპის ყურადღება მიიქცია დ ყველა გაფაციცებით ადევნებდა თვალ ყურს საქმის გარჩევას. განსაკუთრებულ ავსტრიის ჟურნალ გაზეთები სწერდნენ ბლომად ამ საქმის თაობაზედ და ბევრი თვით ბოლგარიის მთავარსაც სდებდა ბრალს. იმათის აზრით, ისეთი საზიზღარი კაცი, როგორიც იყო ბოიჩევი, მთავარს არ უნდა დაეახლოვებინა და თავის გულითად მეგობრად არ უნდა გაეხადნა. რასაკვირველია ბოლგარიაში არაფრად ესიამოვნათ გაზეთების ასეთი კილო და სტოილოვმა, როდესაც ერთის გაზეთის კორესპონდენტმა ლაპარაკი ჩამოუგდო ამ საქმის თაობაზედ, როგორც ამ კორესპონდენტის წერილიდგა სჩანს, ცუდად მოიხსენია ავსტრია და, სხვათა შორისა, სთქვა, რომ თვით ავსტრიაში ხშირად მოხდება ხოლმე ასეთი ამბებიო. ავსტრიამ სხვა რომ ვეღარაფერი მოუგონა ბოლგარიას, ბოიჩევის საქმეში გარია მთავარი და ამითი უნდოდა იმისთვის ჩირქი მოეცხოვო. აი ეს არ ესიამოვნა ავსტრიის მთავრობას და მოსთხოვა სტოილოვს, რომ მან საჯაროდ უარ-ჰყოს კორესპონდენტის სიტყვები. თუმცა სტოილოვმა შეუთვალა, რომ ტყუილია ყოველი გაზეთში გამოცხადებული, მაგრამ ავსტრიის მთავრობა არ დაჰკმაყოფილდა ასეთის პასუხით და თვისი ელჩი გაიწვია. ეხლა დიდი მიწერ-მოწერაა ავსტრიასა და ბოლგარიას შორის და რითი დასრულდება საქმე, ჯერ არავინ იცის. ბევრი იმას ამბობს, რომ ავსტრიის შიშით ბოლგარიის მთავარი იძულებული იქმნება სტოილოვი გადააყენოს სამსახურიდგან და ამითი დააკმაყოფილოს ავსტრიაო. გაზ. „Temps“-ის აზრით-კი, უკანასკნელ შემთხვევაში ფერდინანდი სტოილოვს, გარეშე საქმეთა სამინისტროს მაგიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩააბარებსო.

—

**ოსმალეთი.** „Standard“-ის სიტყვით, საგანგებო სამხედრო სასა-

მართლომ კონსტანტინეპოლში ამ ახლოს ხანს უნდა განიხილოს 1,620 კაცის საქმე, რომელთაც ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღების ბრალი ედებათ. მათ შორის 324 სტუდენტია, 115 შეიხი, 130 ულემი და მრავალი მოხელე.

—

**საფრანგეთი.** პარიჟიდგან იუწყებიან, რომ ლიონის სადგურზედ ამ დღეებში იტალიანელი კალლინი შეიპყრესო, რომელმაც განაცხადა, რომ ლონდონიდგან ფელიქს-ფორის მოსაკლავად მოვედიო. გამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კალლინი მართლაც ლონდონიდგან წამოსულა. იმ აზრისანი არიან, რომ კალლინი ჭკუათა მყოფელი არ უნდა იყოსო.

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

28 ივლისი

—

აღმოსავლეთის საქმე ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც ამ რამდენისამე თვის წინად კრიტის ამბოხების დროს იყო. მაგიერში ოსმალეთის შინაგანი საქმეები ნელ-ნელა წყნარდება, თუ სომხების ფაცა-ფუცს არ მივიღებთ მხედველობაში, რომლებსაც ყოველ-დღე წყვილ-წყვილად ხელის ცერებით ერთმანეთზედ გადაბმულს ისტუმრებენ კონსტანტინეპოლიდგან ვინ იცის სად... ახალ ახალ ოსმალთა მოთავენი: ჩერქეზ-მურად-ბეგი, რიზა-ბეგი და თავდგირიძე ახმედ-ბეგი, როგორც ამბობენ, ამ დღეებში უნდა მოვიდნენ. სულთანმა ამათ მოციქულად გაუგზავნა ჩერქეზი... ახმედ-ფაშა, რომელიც დიდი მეგობარია მურად-ბეგისა და სხვებისაც, სულთანი დაჰპირებია, ავასრულებ რაც შესაძლებელია დღეს ოსმალეთისთვის თქვენის წინადადებათაგანო. ეს გარემოება ასე თუ ისე დააშოშმინებს ოსმალეთის შინაგან საქმეებს, რადგან ყველაზედ საშიში ელემენტი დღეს ოსმალეთის დაძველებულ წეს-წყობილებისათვის ახალ ოსმალთა წინააღმდეგობა იყო; თუმცა იმათ თვალ-საჩინო არა გაუკეთებიათ-რა, მაგრამ იმათი გაზეთ-ჟურნალები, რომელიც ათასობით მოდიოდა კონსტანტინეპოლში, დიდს უკმაყოფილებასა და შფოთს ჰბადავდა ოსმალეთის ერში. მართლაც, ახალ-თავობის ოსმალთა შეთანხმებული მოქმედება სულთანთან უფრო დიდ შემწეობას აღმოუჩენს მრავალ ტანჯულის ოსმალეთის სვე-ბედს. ვინ არ იცის, რომ თვით მართლ-მორწმუნეთა ხალიფს დიდი ხანია ჰსურს მართვა-გამგეობა განათლებულის ხალხის ხელში ჩააგდოს და ამითი მოუღოს ბოლო ძარცვა-გლეჯას, მექრთამობასა და უსამართლობას.

საზოგადოდ ეტყობა, ნელ-ნელა ოსმალეთი მიხვდა, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. ხალხი გაინაფა, ცოტ-ცოტა განათლებაც შეითვისეს. „ეხლა საჭიროა მოქმედების გეგმა შევიმუშავოთ, დავანებოთ თავი პირადად სულთანის წინააღმდეგობას, მივიღოთ ჯერ-ჯერობით ოპორტიუნისტთა როლი და ვქმნათ ის, რაც შესაძლებელია, დავანებოთ ოცნებასა და ვითომ ჩვენთვის სასიკეთო იმედების შეთხზვას თავი. ვიმოქმედოთ ჩვენთვის და ჩვენის საკუთარის ღონით „ყველა კაცი თავისთვის, ღმერთი ყველასთვისო“ ამბობს ჩვენი ანდაზაო. ასე დაიწყო ერთმა ახალ თურქთა მოაზრემ, როცა ამბავი ჩამოვარდა იმათს პროგრამის შესახებ: ჩვენ ჯერ რიგიანი პროგრამაც არა გვაქვს და ეს არის თავი და თავი მიზეზი, რომ სიკეთის მაგიერ ჩვენი მოქმედება ზიანს აძლევს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ დღეს ქვეყანაზედ არავინ გვიბრალებს და არც შესაბრალისი ხალხი ვართ, რადგან ვინც თავისს თავს თვითონ ვერ მოუვლის, ის არც ყურადღების ღირსია. სასაცილო და სასირცხვილო როგორ არ არის ჩვენი საქმე, როცა უსუსური ბოლგარია, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი მოხარკეა, ჩვენზედ ბევრად წინ წავიდა. ხომ ჰნახეთ, დღეს ბოლგარიის თავადს რა რიხითა და ზეიმით შეხვდნენ. ამ ოცის წლის წინედ რა იყო ბოლგარია, სრულიად არაფერი. ეხლა ის მოვიდა აქ და ჰსურს გამოუცხადოს ჩვენს მთავრობას, რომ 2 ავგისტოს ჩემი თავი მეფედ (კაროლად) მინდა გამოვაცხადო და ბოლგარია სრულიად დამოუკიდებლადაო. იცით რა უთქვამს? თუ სულთანი არ დამთანხმდა, რუსეთში წავალო. ეხლა ყველაზედ სადარდო და სავალალო ის არის, რომ იმის მეფედ გამოცხადებასთან ერთად ჩვენ სამუდამოდ ვკარგავთ შარკი რუმელიას (აღმოსავლეთის რუმელია). ეს კიდევ არაფერი, შარკი რუმელია მაინც დაკარგულია ჩვენთვის, რაც ერთხელ გიაურს ჩაუვარდა ხელში, იმას ჩვენ აღარ მოგვცემენ. ეხლა ის არის საფიქრებელი, რომ ბოლგარიის დამოუკიდებლობისა და უპირატესობის გამოცხადება სხვა საქმესაც ბევრს გამოიწვევს. მაკედონია წამოჰყოფს თავს. დღეს თითქმის არეულ-დარეული არის იქაურობა. თუ ბოლგარიას მიეცა ის უფლება, რასაც ის თხოულობს, და თუ ამ უფლებაში მოჰყვა შარკი-რუმელიის სამუდამოდ ბოლგარიასთან შეერთების საქმეც, მაშინ უეჭველად სერბია გამოჰყოფს თავს, რომელსაც, როგორც იწერებიან ჩვენი გაზეთები, უკვე განუმზადებია ჩვენს საზღვრებზედ ასი ათასი მეომარი. გუშინდელი დეპეშა იუწყებოდა კიდევ, რომ „სერბიის მთავრობამ შეუკვეთა და გამოიწერა ასი ათასი თოფი ახალის სისტემისა და 42 ზარბაზანიო. რასაკვირველია, ყველა ეს ჩვენთვის არისო. კრიტის საქმეებიც ხომ ისევ საშინელს მომავალს გვიქადის. ჯევად-ფაშამ ვერც-კი მოასწრო რიგიანად დაბინავება, რომ პოლკოვნიკი ვასოსი, როგორც იუწყებიან, უკვე გაემგზავრა. აბა თქვენ თითონ იფიქრეთ, რა დროს ჩვენი წინააღმდეგობაა, დღეს ჩვენს ქვეყანას შველა სჭირია, როგორც ჭკუით, ისე მკლავით, და არა განზედ გადგომა და რაღაც უთავბოლო ლანძღვა-გინებით სავსე გაზეთების ბეჭდვა. რასა ჰქვიან ახალი ოსმალი, დღეს ჩვენ ყველანი ერთგულნი ქვეშევრდომნი უნდა ვიყვნეთ ჩვენის ხალიფისა. თუ ჩვენი ხსნა არის, იგი სულთან ჰამიდის ხელში უნდა იყოს. ჯერ საქმე დაშოშმანდეს და შემდეგ, ეჭვი არ არის, თვით სულთანი მიხვდება ჩვენის თხოვნის საჭიროებას. იგი პატიოსანს სიტყვას გვაძლევს, რომ ყველაფერს გავაკეთებო. სასაცილოა ღმერთმანი, დღეს მთელი ქვეყანა ავად თუ კარგად ჩვენს ხალიფსა და იმისს სიტყვებს უგდებს ყურს და ჩვენ ვინღა ვართ, ან ძალით რა შეგვიძლიანო. ასე დაასრულა მაჰმადიანმა თავისი სიტყვა, რომელსაც ყველა იქ მყოფნი თავის ქნევით თანხმობას უცხადებდნენ.

დიახ, გამოკეთდა ოსმალეთი, იმისი საქმეები დღეს კარგად არის. ოსმალეთის ობლიგაციებმა ფასში აიწია. რკინის გზის ობლიგაციამ სულ რამდენისამე დღეში 38 ფრანკი მოიმატა.

ბერძენ-ოსმალთა შორის მორიგების საქმეც რიგიანად მიდის ოსმალებისთვის, რადგან ეს უკანასკნელნი ბევრს ისეთს პირობას ატანენ შიგა და შიგ, რომ ჯერ კიდევ კარგა ხანს შეუძლიანთ საქმე ისე ატრიალონ, როგორც თითონ უნდათ. სომხები ხომ გაათახსირეს, ახალ ოსმალთა დასი თითქმის მოსპეს, გარედ მყოფნი შემოირიგეს და აქ მყოფნი თითქმის ყველა დაიჭირეს და ისეთ ადგილებში გადაჰმალეს, რომ მეორედ მოსვლამდის იმათი სახსენებელი აღარსად იქმნება. მოიმაგრა ოსმალეთმა ფეხი, მაგრამ ეხლა კრიტის საქმემ ხელ-ახლა წამოყო თავი, ევროპის ოფიციალური გაზეთები ისევ აყაყანდნენ „ეს როგორ შეიძლებაო, კრიტს ავტონომია უნდა მიეცესო“, ჯევათ-ფაშა-კი თავისას თხოულობს, ის იმედიანად არის, თუ საკმაო ჯარს მომაშველებენ, საქმეს დავაწყობო. ეხლა ამ საგნისათვის უნდა მოგროვდეს ოცი ათასი ალბანელი ჯარი და გაიგზავნოს. როგორც ოსმალებსა ჰგონიათ, ჯევად-ფაშა სამუდამო გენერალ-გუბერნატორად იქმნება კრიტში დანიშნული.

მაკედონიაც აღელვებულია, ისინიც თურმე რაღაც ავტონომიას მოელოდნენ. ჩვენ იმიტომ არ მივიღეთ მონაწილეობა ბერძნების ომში, იმიტომ გავჩუმდით, რომ ოსმალეთი იმტიაზს (განსხვავებულს უფლებას), დაგვპირდაო, ეხლა ჩვენ მოტყუებულნი დავრჩით. ოსმალეთის ბერძნებს ხომ, რომელიც რვა მილიონს გადაემეტება, ჩალა დარჩათ პირში გამოვლებული. ესენიც ფანართას (საპატრიარხო) დიდსულოვანებამ, რომელსაც შეჰპირდნენ სრული უფლებების დაცვას მთელს საოსმალეთოში, გააბრიყვაო.

ერთი სასაცილო ამბავი კიდევ წავიკითხეთ „ნეო-ფრეი-პრესში“: თუ სტამბოლში ამბოხება მოხდა, დასაწყისშივე ჩაჩუმდებაო, რადგან ხუთის ათასის ჯარის-კაცის შემოყვანა შესძლებია ევროპას სტამბოლშიო. ოხ, რა ბავშვური ილიუზია არის ეს, სჩანს ჯერ კიდევ ევროპა ვერ იცნობს ოსმალეთის ძალას. აქ თუ საურთიერთო ამბოხება მოხდა ბაშიბუზუკთა შორის, ამ ამბოხებაში ვერავინ გაერევა და, თუ ჯარმაც მიიღო მონაწილეობა, მაშინ ხომ რას გახდება ხუთი ათასი ევროპის ჯარი 50 ათას გაწვრთნილ აბდულ-ამიდის საუცხოვო ჯართან.

შაბათს საღამოს აქ ისეთი წვიმა მოვიდა, რომ ეტლები შეაჩერა ალაგ ალაგ. შიშის ზარმა მოიცვა ქალაქი — „ვაი თუ რიგი სტამბოლზედ მოდგაო, წვიმა ჩქარა გადიღო. ორი-სამი ღამე აქ სიცივეები იყო. ეხლა კარგი დარებია. ჯერ კიდევ მორიგებისა არა ვიცით-რა, მხოლოდ ის არის ცხადი, რომ საქმე ისევ წაფორხილდა. ბერძნებმა კონტროლი არ იკაბულეს, ვალის ერთბაშად გადახდას ჰლამობენ.

ყველა ობლიგაციები, რაც გერმანიის ხელში იყო, უკვე გამოისყიდა ბერძენ ინგლისის სავაჭრო ამხანაგობამ. ამისათვის საერო ბანკის 400 ფრანკიანი ობლიგაცია, რომელიც 250 ფრანკამდე იყო ჩამოსული, ეხლა ისევ ავიდა თითქმის დარქმეულ ფასამდე: დღეს 398 ფრანკი ჰღირს. სჩანს, ბერძნებს სძინავთ. მხოლოდ ამ გარემოებამ ზავის საქმე კიდევ შეაჩერა. რუსეთის დესპანი ნელიდოვი ჯერ კიდევ აქ არის. ზოგნი ამბობენ, ზავის ჩამოგდებამდის აქ იქმნებაო. სერბიის საზღვრები სასტიკად მაგრდება ორისავე მხრივ.

ბოლგარიის მთავარი გუშინვე ინახულა სულთანმა ილდიზ-კიოსკში. ჯერ არავინ იცის რა ბაასი ჰქონდათ ან რითი დაბოლოვდა მთავარის მიერ მეფობის სურვილი.

იასე რაჭველი

## ბიბლიოგრაფია

იაკობ გოგებაშვილი. „Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку“, цѣна 50 коп.

(დასასრული *)

აი, ასეთის თვალთა ხედვის ისარით არის აღჭურვილი ჩვენი პედაგოგი. იგი არა ერთხელ იმეორებს, რომ თუ არ სამშობლო ენის საშუალებით, სხვა არა გზით არ შეიძლება პედაგოგიური, წესიერი სწავლება სახელმწიფო ენისა. ამ აზრის დასასაბუთებლად, თეორეტიულ მოსაზრებათა გარდა, იმას მოჰყავს მშვენიერი მაგალითი ჩვენის ცხოვრებიდგან. ამ ოც-და-ათიოდე წლის წინად „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ დააარსა ჩვენის მხარის სხვა-და-სხვა კუთხეში სკოლები, რასაკვირველია, თავისის ხარჯით. ეს სკოლები პირველ დღიდგანვე უკუღმართს გზას დაადგნენ. ერთად-ერთი სასწავლო საგანი ამ სკოლებში რუსული წერა-კითხვა იყო, ამიტომაც სწავლა პირველ დღიდგანვე სწარმოებდა მხოლოდ სახელმწიფო ენაზედ. ამ სკოლებში გაიარა რამდენიმე თაობამ არა ერთის სოფლისამ. მერე რა შედეგი მოიტანეს ამ სკოლებმა? შეისწავლეს მისმა მოსწავლეებმა რუსული ენა? კითხულობენ რუსულ წიგნებს? თუმცა საზოგადოება არ იშურებდა ხარჯს ამ სკოლებისათვის, ყოველ მხრივ ხელს უწყობდა, მაგრამ რუსული ენაც ვერ შეასწავლა ბავშვებს და ხალხმა, არამც თუ არ შეიყვარა ეს სკოლები და დახმარება არ გაუწია, არამედ პირველ შემთხვევაშივე ზურგი შეაქცია. ასე ჩაქრა ეს უფესვოდ აღმოცენებული განათლება. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ, როგორცა სთქვა უშინსკიმ, ამისთანა სკოლები ადამიანის სულს კი არ ამაღლებენ, არამედ ათახსირებენ და, რა საკვირველია, სიყვარულსა და პატივისცემას გარყვნა და სულის დამდაბლება ვერას დროს ვერ დაჰბადებს. ტყუილად-კი არ შეჰნიშნავს ფროფესორი ლამანსკი: „არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი არა-რუსი, რომელიც ზიზღით იხსენიებს თავის ხალხს ნახევრად დამტვრეულს რუსულ ენაზედ, მეტად საზიზღარი მოვლენაა და ყოველი კეთილ-სინიდისიერი არა რუსის გლეხი, რომელსაც რუსულისა არაფერი ესმის, ათასჯერ, ათი-ათასჯერ უფრო სასარგებლოა სახელმწიფოსათვის, ვიდრე თავისს ერს მოშორებული გამოფშუტურებული არა რუსი, თუნდა მან რუსული ენაც იცოდეს“ **).

დიაღ, არავისათვის არ არის სასარგებლო და გამოსადეგი იმისთანა ადამიანი, რომელსაც არ ახსოვს თავისი დედ-მამა, თავისი აღმზრდელი სამშობლო. ჩვენში ერთი ღირს-შესანიშნავი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რა ადვილად შეიძლება დავიცვათ ხასიათის სიმტკიცე და სიფაქიზე, საღი გონება, სამშობლო ენა და ამასთან სხვა სკოლებთან შედარებით ზედმიწევნით შევისწავლოთ სახელმწიფო ენაც. ეს მაგალითი არის წინამძღვარიანთ-კარის სკოლა. ამ სკოლაში ყველაფერს დედა-ენაზედ ასწავლიან. მხოლოდ სახელმწიფო ენა-კი ცალკე საგანია. შესანიშნავი განვითარება და გონების სიმკვირცხლე ამ სკოლის მოსწავლეებისა განცვიფრებაში შეიყვანს ოდნავ ჩახედულს ადამიანს. ამას ამტკიცებენ არა მარტო კერძოდ ამ სკოლის დამთვალიერებლები, არამედ მთავრობის წარმომადგენელნიც. საქართველოს ექსარხოსად ნამყოფმა პალლადიმ, რომელმაც ეს სკოლა დაათვალიერა 1889 წ. ივნისში და დაესწრო ეგზამენებს, სკოლის წიგნში ჩასწერა, სხვათა შორის, რომ მოსწავლეები იძლეოდნენ პასუხს ქართულსა და რუსულს ენაზედ შესანიშნავად კარგადაო. ერთად-ერთი მიზეზი საქმის ასე დაყენებისა, რასაკვირველია, სამშობლო ენაა.

როგორ ექცევიან ამ დედა-ენას სხვა-და-სხვა სახელმძღვანელოების შემადგენელნი? ამის გასაგებად ბ-ნს გოგებაშვილთან ერთად გადავავლოთ თვალი ჩვენს სკოლებში მიღებულ რუსულის ენის სახელმძღვანელოებს. ავიღოთ ისე გავრცელებული მთელს რუსეთში „Родное Слово“ უშინსკისა. სწორედ საგულისხმო მოვლენას შეხვდებით აქ: ეს წიგნი ჩვენის სასწავლებლებისათვის გამოუსადეგარია არა მარტო იმისთვის, რომ იგი ადგილობრივის ენით არ სარგებლობს. ამას იმისს ავტორს ვერც ვუსაყვედურებთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ სახელმძღვანელოს ჩვენთვის უვარგისადა ჰხდის სწორედ ის, რაც იმის ღირსებად უნდა ჩაითვალოს. რა ღირსება უნდა იყოს ისეთი? აი, რა: უშინსკის აზრით, ბავშვი პირველად სწავლას უნდა იწყობდეს არამც თუ თავისს დედა-ენაზედ, არამედ ადგილობრივ კილოზედ და აქედგან იგი შეუმჩნევლად უნდა შეუდგეს ლიტერატურულ, საზოგადოდ მიღებულ ენის შეთვისებას; ბავშვი უნდა იწყებდეს ხალხურ ფორმებიდგან და გადადიოდეს უმაღლესს ფორმებზედ. ამიტომაც უშინსკიმ თავისს პირველ დაწყებითს სახელმძღვანელოს სარჩულად დაუდო შიდა რუსეთის ხალხური გამოთქმა; იმან შეიტანა თავისს წიგნში ამ ხალხის ენა, მოთხრობები, ანდაზები და ზღაპრები. ამ გვარად, ვინც „Родное Слово“-თი სწავლობს, იგი იწყებს ხალხურის ენიდგან. მაგრამ ჯერ ერთი, რომ რუსული ხალხური ენა ჩვენთვის მაინც და მაინც საჭირო არ არის. მეორე ისა, როგორც ბ-ნი გოგებაშვილი შენიშნავს, ხალხური

*) იხ. „ივერია“, № 163.

**) „Раз. уч. рук.“ გვერ. 51.

გამოთქმა მდიდარია განუვითარებელის, სინათლეს მოკლებულის ფორმებით. ამისთანა ფორმების შეთვისება-კი კიდევ უფრო აჭირებს საქმეს. ამას, რასაკვირველია, ყველა კარგად ჰგრძნობს, ვისაც სწავლა „Родное Слово“-თი დაუწყია. გარდა ამისა, თუმცა „Родное Слово“-ს ავტორი დიდის ნიჭის პატრონი და განვითარებული კაცი იყო, მაგრამ დრომ მაინც თავისი წაიღო და ბევრი მისი პედაგოგიური საშუალება დღეს გამოუსადეგარია. უშინსკი ჯერ ასწავლის წერას და შემდეგ გადადის კითხვაზედ; დღეს ეს მეთოდი საუკეთესო პედაგოგების და პსიხოლოგების მიერ უარყოფილია. სხვა ნაკლულევანების ჩვენებაც შეიძლებოდა, მაგრამ ვისაც ჰსურს სავსებით გაიგოს ამ სახელმძღვანელოს ნაკლი თუ ღირსება, ის არ დაიზარებს და წაიკითხავს ზემოხსენებულს წიგნს, ჩვენ-კი ახლა სხვა სახელმძღვანელოებს გადავავლოთ თვალი.

ბ ნ გოგებაშვილსავე აქვს გარჩეული ვოლპერის, ჩერნიავსკის და ლევიცკის სახელმძღვანელონი. უნდა აღვიაროთ, როცა შევნიშნავთ, რომ სახელმძღვანელო უარჰყოფს სახელმწიფო ენის შესასწავლად დედა-ენას, ჩვენც უნდა უარვყოთ იგი, როგორც უვარგისი და მავნე. მაგრამ რა-კი ეს ჩვენი რწმენა ვერ ხორციელდება და ეს სამშობლო ენის უარმყოფელი სახელმძღვანელოები ჩვენში მაინც არსებობს, ჩვენ იძულებული ვართ სხვა გვარადაც გავარჩიოთ ეს წიგნები. აი, მაგალითად, ვოლპერის „Русская Рѣчь“-ი. ყველასთვის ცხადია, რომ ბავშვს კაცი პირ-და-პირ უცხო ენაზედ ვერ დააწყებინებს წერა-კითხვას. საჭიროა, რომ ჯერ იმან ცოტად მაინც ზეპირად შეითვისოს ეს უცხო ენა. ვოლპერის წიგნში კი ამ საგნისათვის ეგრედ წოდებული ლექსიური გაკვეთილები სრულიად არ არის. უამისოდ-კი პირველ დაწყებითი წიგნი შეუძლებელია. გარდა ამისა, ბ-ნს ვოლპერს ანბანის შესწავლა მთელს წიგნში გაუჭიანურებია. იძულებულნი ვართ ყოველ წუთში გავიმეოროთ, რომ ვოლპერის მეთოდზედ შედგენილის სახელმძღვანელოების მრავალ ნაკლულევანების მიზეზი ის არის, რომ ამ მეთოდის მიერ უარყოფილია სამშობლო ენის დახმარება. ვოლპერს უნდა დედა-ენისმა გიეროზა სურათებს გააწევინოს, მაგრამ ერთის მხრით ეს სურათები ჩვენს ცხოვრებას სრულიად არ შეეფერება და ეს ხომ ცნობილია, რომ პირველ-დაწყობითის სწავლისთვის მასალას უნდა ვიღებდეთ გარემოცულ ბუნებიდგან. მეორედ, სურათით შეიძლება გადმოცემა მხოლოდ ზოგიერთის კონკრეტიულის მოვლენისა, უმეტესად-კი დასურათება აზრისა შეუძლებელია. გამოდის, რომ არც სამშობლო ენის დახმარება და არც დაკვირვებითი ცოდნა არის გატარებული ვოლპერის წიგნში.

ბ-ნი ჩერნიავსკი გადაჭრით ამბობს, რომ დედა-ენა აუცილებლად საჭიროა სახელმწიფო ენის შესწავლის დროსაო, მაგრამ რად გინდათ? მისი დაბეჯითება ლიტონ სიტყვად რჩება, რადგან თვით ჩერნიავსკიმაც საფუძვლად-კი არ დაუდო დედა-ენა სახელმწიფო ენის შესწავლას. იმან აიღო და წიგნის ბოლოში მოათავსა სიტყვების თარგმანი. მაგრამ აშკარაა, რომ ამისთანა მასალა ბავშვისთვის სრულიად გამოუსადეგარია. სად შეუძლია ანბანის მცოდნე ბალღს ლექსიკონში ჩხრეკა?!.

ყველაზედ უფრო ბეჩავია ბ-ნ ლევიცკის მუნჯურის მეთოდის ნაყოფი. ეს მუნჯური მეთოდი უფრო მშიერის კუჭის შექმნილია და ხომ ცნობილია, რომ გამგელებული კუჭი, ვინ იცის, რას არ ათქმევინებს ადამიანს. საქმე ის არის, რომ ამ რამდენისამე წლის წინად გარდაიხვეწა ამერიკაში ერთი გერმანელი მასწავლებელი, რომელმაც შიმშილის მოსაშორებლად გერმანულის ენის სწავლება დაიწყო. რა-კი მოსწავლეების ენა არ იცოდა, ძალა-უნებურად იძულებული გახდა მუნჯის ხერხისათვის მიემართა. ამასთან ამერიკანულად დაიწყო რეკლამების ვრცელება, თავის ქება. აი ამ ნიადაგზედ აღმოცენებული მეთოდი ჩვენამდისაც ფილოქსერასავით დაუპატიჟებლად გადმოთესლდა და ბ-ნს ლევიცკის შეეფარა. ბ-ნმა ლევიცკიმ იმდენად შეიყვარა იგი, რომ კიდევ უფრო გადაამახინჯა, ასე რომ მის მიერ შედგენილის წიგნის მიხედვით მასწავლებელი კლასში სჭამს, სვამს, ჰყვირის, სტირის, ჰყეფს, ღრუტუნებს და რას არ სჩადის, ვინ იცის. ბ-ნ ლევიცკის წიგნი რომ ულაზათოა და უმეცრად შედგენილი, ამას ყველა იტყვის, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ამისთანა ულაზათო წიგნზედ იზრდება არა ერთი თაობა, თითქმის მთელს ქუთაისის გუბერნიაში. მისი მიზეზი, რასაკვირველია, ცოტა ჩვენი მასწავლებლების გულ-გრილობაც არის, მაგრამ იმედია, რომ მეტი დაკვირვება, მეტი თეორეტიული განვითარება მეტს ძალას მისცემს ამ მასწავლებლებს, რომ უფრო უკეთესად აღმოარჩიონ იარაღი თავისის ხელობისა. იმისი იმედიც გვაქვს, რომ ბ-ნი გოგებაშვილი თავისის წიგნით მცირე დახმარებას არ გაუწევს ჩვენს პედაგოგებს კრიტიკულად შეხედონ საგანს—და სალი პედაგოგიური რწმენანი, პრინციპები გაიგონ და შეითვისონ.

პ. ს—ძე

## ნაკვესი

ერთი ვაჭარი მივიდა ექიმთან და შესჩივლა, რომ ამა-და-ამ კაცმა საქონელი წაიღო და ფული არ მომცაო.

ექიმი. ანგარიში სახლში უნდა მიგეტანა.

ვაჭარი. მეც სწორედ აგრე მოვიქეცი.

ექიმი. რა გითხრა?

ვაჭარი. გამომისტუმრა, ეშმაკისკენამცა გქონია გზაო.

ექიმი. მერე?

ვაჭარი. მეც ავდექი და თქვენთან გამოვწიე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელმა მაკ ნელლიმ ამ დღეებში სცადა ცურვით გასულიყო ლამანშის სრუტეს დუვრიდგან კალემდე. მაკ ნელლის თან მისდევდა პატარა გემი. მთელ დღეს მაკ ნელლი მხიარულად იყო, მძლავრად აპობდა წყალს და ამავე დროს ელაპარაკებოდა და ეხუმრებოდა გემზედ მყოფ ხალხსა. საღამოთი კი შესამჩნევად დასუსტდა. 8 საათზე მაკ ნელლი ისე ძლიერ დაიღალა, რომ ფეხის კუნთები შეეკრა, ამიტომ ზურგზედ გაწვა წყალში, ნახევარ საათს დაისვენა და ისევ გზას შეუდგა. თუმცა ისევ მალე ძლიერ დაიღალა, მაგრამ თვისს განზრახვას მაინც თავი არ დაანება. მალე გამოჩნდა თვით კალეც. მაკ ნელლი კიდევ 4 საათს ებრძოლა წყალს, მაგრამ ეხლა-კი ღონე სულ გამოელია და გონება დაჰკარგა. მაშინ გემზედ მყოფი ხალხი მიეშველა, მაკ ნელლი ამოიყვანეს და დუვრში მოიყვანეს. მთელ 15 საათს დაჰყო წყალში მაკ ნელლიმ.

* * *

1900 წლის გამოფენისათვის პარიჟში ჯერ ისევ დიდს ფიქრში არიან ფრანგები, რა გამართოთ ისეთი, რომ ეიფელის კოშკის მაგიერობა გასწიოს და ქვეყანა გააკვირვოს. ამ საქმის შესახებ მრავალი პროექტი წარედგინა იმ კომისიას, რომელიც გამოფენის საქმეს განაგებს. უფრო საყურადღებო შემდეგი პროექტებია. ერთის პროექტის ავტორი ურჩევს კომისიას „პროგრესის ტაძარი“ ავაგოთო. ამ ტაძარში მოთავსებული უნდა იყოს ყველაფერი, რაც-კი მეცხრამეტე საუკუნეში გამოუგონია კაცობრიობას. მეორე პროექტის ავტორი ურჩევს კომისიას დიდი სახლი ავაგოთ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს პარიჟს იმ სახით, როგორიც ვითომდა ექმნება ამ ქალაქს 2000 წელს. ბ-ნ აკსელსუტის პროექტით უნდა გაიმართოს უშველებელი საქანელა, რომელსაც მოზმული ექმნება დიდი რესტორანი. ერთის პროექტის დამწერს განუზრახავს გააშენოს პატარა ქალაქი, რომელიც ისე იქმნება მოწყობილი, როგორც ჰიგიენა მოითხოვს. ერთს კიდევ მუზეითა მუზეის გამართვა უნდა. მეორემ მოიწადინა გამართვა ცოცხალის სურათებისა, რომლებიც სხვა-და-სხვა საუკუნეში მცხოვრებ ქალებს წარმოადგენენ. ბ-ნ ბოგენის აზრით, იმას არა სჯობია-რა, რომ შადრევნებზედ ქანდაკების მაგიერად ცოცხალი ლამაზი ქალები დავაყენოთო. ერთის პროექტის ავტორი კიდევ აცხადებს, უკეთესი იქმნება გამოფენის დროს გავმართოთ ყოველ ქვეყნის შესანიშნავ ლამაზ ქალების გამოფენაო.

* * *

ამ დღეებში თესალიაში გაიგზავნა 35 ყუთი, სავსე სხვა-და-სხვა საჩუქრებით, რომელიც უნდა დაურიგონ იმ გენერლებსა, აფიცრებსა და ჯარის-კაცებს, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ ბოლოს დროს მომხდარ ომში. ჯარის კაცებს გაეგზავნა 130,000 ვერცხლის მედალი და გენერლებს ექვსი ძვირფასი ხმალი. ყველაზედ ძვირფასი ხმალი ეთხემ-ფაშას ებოძა. ამ ხმლის ტარი შემკულია ბრილიანტებითა და ალმასებით, ქარქაში შემკულია ზურმუხტითა და ლალით. ხმალი დაფასებულია 40,000 მანათად, ხმალს თავისი ბუდეცა აქვს, მწვანე ხავერდით გადაკრული და ოქროთი შემკული, სულთანის ვენზელითა. ეს ბუდეც 4000 მანათად ღირს თურმე. დანარჩენ საჩუქრების ფასი 20,000 მანათს არ აღემატება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 აგვისტო

**ყაზანი.** ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა ფელიქს ფორს მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს. 11 და 12 აგვისტოს ქალაქი რუსეთისა და საფრანგეთის ბაირაღებით იქმნება შემკული და გაჩირაღდნებული. ქალაქის გამგეობის შენობაში პრეზიდენტის ფორის სურათი იქმნება გამოკიდებული და ყვავილებით მორთული.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ ყველა საელჩოებმა სამახსოვრო წერილი მიიღეს ფრანგულ და სომხურ ენაზედ დაწერილი. წერილს ქვეშ ეწერა: „სომეხთა ფედერაციის კონსტანტინოპოლის მთავარი სარევოლიუციო კომიტეტი“. წერილში ნათქვამია: რადგანაც ცვლილებათა პროექტები შესრულებულნი არ იქმნენ და სომეხთა მდგომარეობა, რომელნიც მოქალაქებრივს თავისუფლებასა და უფლებას ეძებენ, დღეს აუტანელი შეიქმნა, კომიტეტი ეცდება დაანახვოს ყველას, რომ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია და კიდეც დაამტკიცებს თავისის მოქმედების განახლებითაო“.

ელჩები და მათნი მახლობელნი იმ აზრისანი არიან, რომ ამ ბოლოს დროის აფეთქებით ბევრად იზარალეს თავი სომხებმა, თანაგრძნობა დაჰკარგეს და ცვლილებათა შემოღებას ხელი შეუშალეს.

**ბერლინი.** ოფიციალური ცნობა: რკინის გზაზედ 14 აგვისტოს ცელლესთან მომხდარ უბედურებისა გამო დანიშნულმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ გზით გერმანიის იმპერატორისა და იმპერატრიცის გავლის წინად მომხდარი უბედურება ბოროტის განზრახვით ყოფილა წინადვე მომზადებული. დამნაშავის დასაჭერად საკმაოდ დიდი ჯილდოა დანიშნული.

11 აგვისტო

**პარიჟი.** დეპარტამენტების იურისა, ლოზერისა, პიუი-დე-ლომის, სავოის, მაიენის, ვოკლიუზის, ვანდეის და სხვ. მთავარმა საბჭომ შეიწყნარა შემდეგი ადრესი: „საბჭო აღტაცებით უერთდება საფრანგეთის ერის სიყვარულს რუსეთისადმი,—იმ სიყვარულსა, რომელიც პრეზიდენტმა უნდა შეატყობინოს პეტერბურგს. იმედი გვაქვს, რომ მოგზაურობა პრეზიდენტისა საკეთილოდ იქმნეს. მცხოვრებნი მოწიწებით უგზავნიან სალამს მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას და პრეზიდენტის მოგზაურობა მიაჩნიათ საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრობის დამამტკიცებელ ამბად.

**მოსკოვი.** მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობა პეტერბურგში ჰგზავნის დეპუტაციას, რომელიც მიესალმება საფრანგეთის პრეზიდენტს და ადრესს მიართმევს.

10 აგვისტოს დიდს თეატრში მოხდა მეორე საერთაშორისო კრება მკურნალთა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუძღვნით ქ-ნს ნატალია ქიქოძისას, რომელმაც ბახმაროს მეაგარაკეთა შორის გაჰმართა ხელის-მოწერა და ასკანის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შეაგროვა 65 მან. ამ ფულის ზოგიერთ ნაწილიდგან გამართული იყო გასართობი საღამო, რაზედაც დაიხარჯა 31 მან. დარჩა წიგნთ-საცავს წმინდა შემოსავალი 34 მან. მომავალ წელს, განზრახვა გვაქვს ბახმაროში დავაარსოთ წიგნთ-საცავის განყოფილება.

წიგნთ-საცავის გამგე სოლომონ მჭედლიშვილი


# განცხადებანი

## წყალ-წმინდის ძმობისაგან.

დაარსდა წყალ-წმიდის ძმობის საშუალებით ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, ოზურგეთის მაზრაში (გურიაში), სუფსისა და ნატანების სადგურებ შუა, რკინის გზის ლიანდაგის ახლოს, აღმოსავლეთით. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

უმთავრესი საგანი წყალ-წმიდის სკოლისა ისაა, რომ, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, გაავრცელოს ობლთა დ დაჩაგრულ მოზარდთა შორის სწავლა განათლება, დაამყაროს მათში კეთილ-ზნეობა და შეაჩვიოს ისინი გონივრულს შრომას, რათა მხნედ და ხერხიანად გაუმკლავდნენ მომავალ ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ამ აზრით ძმობას აქვს საკმარისი ადგილი, ას ქცევაზედ მეტი, საჭირო შენობები სკოლისათვის, საკუთარი ეკკლესია, წისქვილი, ვენახები, ჰყავს ფუტკარი, მსხვილ-ფეხი საქონელი და სხვანი.

ძმობას აქვს მომზადებული ყოველივე, რაც 40 მოსწავლის მუდმივ ცხოვრებისათვის არის საჭირო: საჭმელ-სასმელი და სხვ. 10 იმ მოსწავლეს, რომელნიც აღმოჩნდებიან სრულიად უპატრონონი, უკანონოდ შობილნი და ულარიბესი ობლები, წოდებისა და სარწმუნოების გაურჩევლად, ძმობა შეინახავს თავისს ხარჯით, ხოლო 30-ს ძლიერ შემცირებულის საფასით აიყვანს იმათისავე შეძლების კვალობზედ, მამათა სქესს —8—15 წლ. სწავლა ისეთივე იქნება, როგორც შემოღებულია საზოგადოდ სამრევლო სკოლებში. ხოლო სწავლისაგან თავისუფალ დროს ასწავლიან სამეურნეო საგნებს, მაგალითებრ: ხვნა-თესვას, მევენახეობასა, მებოსტნეობასა, მეფუტკრეობასა, მეაბრეშუმეობას და სხვას. აგრეთვე სხვა-და-სხვა სენთა და მოულოდნელ უბედურებათა მკურნალობას, მაგალითებრ, დაჭრილ დაშავებულისა, წყალში დამრჩვალისა და დაშხამულისა.

თამაშობის მაგიერად შემოღებულ იქმნება ნავოსნობა, რომლისათვისაც ძმობას ექმნება საგანგებო ტბები და მასში ჩაშვებული პაწია ნავები ბავშვების სავარჯიშოდ. აგრეთვე ისწავლიან ლექსებსა და სიმღერებს. ყურადღება მიექცევა აგრეთვე იმას, რაც გასწრთვნის და გაავარჯიშებს ბავშვის სხეულს.

საღამოობით ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტების საშუალებით, რომლისათვისაც მოწვეული იქმნება საგანგებო ლოტბარი. (თუ კერძო კაცთაგანმა ვინმემ მოისურვა ამ გალობის სწავლა ზამთრობით, იმათაც ასწავლიან უსასყიდლოდ).

ძმობას ექნება შეძენილი მოსწავლეებისთვის საჭირო პაწია იარაღები სამუშაოდ. აგრეთვე ძმობა ჰმეცადინეობს შეიძინოს მაღალი ადგილი შენობის ასაგებად, სადაც ზაფხულობით სკოლა იქმნება გადატანილი. ძმობა ეცდება შეისყიდოს სკოლისა და მოსწავლეთათვის საჭირო მასალა, რომ გაუადვილოს ხარჯი იმათს მშობლებს.

ყოველ ზემოხსენებულს გარდა, თუ სკოლის საქმე კარგად წავიდა და ნივთიერი შეძლება ხელს შეუწყობს, ძმობას აზრად აქვს, ამ სკოლას მეორეც მიუმატოს.

იოსებ ლეჟავა და სიმონ ქორიძე


Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Августь 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.